

საიდ. N 74428/03

IR 1131351

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №198-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ს. ებრალიძე, ქ. კილაძე, ლ. ახოზაძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ინდუსტრია კიმიჩა ადრიატიკა ს.პ.ა.“ (INDUSTRIA CHIMICA ADRIATICA S.P.A.) (მის.: 52, ვისა სანდრო პერტინი, I-62012 ჩივიტანოვა-მარკე (MC) იტალია; 52, Via Sandro Pertini, I-62012 CIVITANOVA MARCHE (MC) (IT)) N198-03/14 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014

წლის 11 სექტემბრის №2364/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო კომბინირებული სასაქონლო ნიშნისთვის „ICA GROUP“ (საიდ. N74428/03, IR 1131351) დაცვის მინიჭება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (პირველი და მე-2 კლასები).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 სექტემბრის №2364/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოდგენილი კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „ICA GROUP“ (ლათინური ანბანით შესრულებული) მსგავსია კომპანიის „იმპერიალ ქემიკალ ინდასტრიზ პლკ“ (IMPERIAL CHEMICAL INDUSTRIES PLC) მიერ „საქპატენტში“ რეგისტრირებული ლათინური ანბანით შესრულებული ნიშნებისა: „ICI“, (რეგ. N13222, რეგ. თარიღი: 04/04/2000წ.) და კომბინირებული სასაქონლო ნიშნისა „ICI“ (რეგ. N2812, რეგ.თარიღი: 31/07/1996წ.). სასაქონლო ნიშნები მსგავსია ჟღერადობით, მათ მხოლოდ ერთი ასო განასხვავებს ერთმანეთისგან. აღნიშნული ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას პირველი და მე-2 კლასების საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის, რის გამოც, წარმოდგენილ სასაქონლო ნიშანს „ICA GROUP“ (საიდ. N74428/03, IR 1131351) „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე პირველი და მე-2 კლასების საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ არ არსებობს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უარის თქმის საფუძველი.

აპელანტის აზრით, როგორც განცხადებული, ისე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები კომბინირებულია და შეიცავენ როგორც სიტყვიერ, ისე გამოსახულებით ელემენტებს. დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებში სიტყვიერი ელემენტები შესრულებულია ლათინური ანბანით „ICA“ და „ICI“, რომლებიც მართალია, ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ, სამივე შემთხვევაში წარმოადგენენ ნიშნების მფლობელი კომპანიების შემოკლებულ დასახელებას „INDUSTRIA CHIMICA ADRIATICA S.P.A.“ (ICA) და „Imperial Chemical Industries Limited“ (ICI); ხშირია შემთხვევა, როდესაც კომპანიები თავის სრულ ან შემოკლებულ დასახელებას იყენებენ როგორც სასაქონლო ნიშანს, რათა სამომხმარებლო ბაზარზე მოახდინონ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის იდენტიფიცირება.

განცხადებულ სასაქონლო ნიშანს, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებისაგან, განასხვავებს რამდენიმე ფაქტორი: განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია წითელ და ღია ლურჯ ფერში, პირველი სიტყვიერი ელემენტი „ICA“ (აი სი აი) წითელია, ხოლო მეორე „GROUP“ (გრუპ) და მათ ქვეშ მოთავსებული ტალღისებური ზოლი ღია ლურჯია. ნიშანდობლივია ისიც, რომ ნიშანში ორი სიტყვიერი ელემენტია „ICA GROUP“ (აი სი აი გრუპ), რომლებიც ერთმანეთის გვერდიგვერდაა და წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რაც ზრდის ნიშნებს შორის განსხვავებას.

განცხადებული ნიშნისგან განსხვავებით, დაპირისპირებული კომბინირებული ნიშანი არ არის ფერადი, იგი წარმოადგენს წრეს, რომელშიც მოთავსებულია ასოები „ICI“ (აი სი აი) და ორი ტალღისებური ზოლი. მიუხედავად პირველი ორი ასოს მსგავსებისა, დიდია ნიშნებს შორის მხედველობითი და ფონეტიკური განსხვავება.

შესაბამისად, აპელანტი მიიჩნევს, რომ საერთო შთაბეჭდილება, რომელიც დაპირისპირებულმა სასაქონლო ნიშნებმა შეიძლება მოახდინონ მომხმარებელზე არ იქნება მსგავსი და არ მოხდება დაპირისპირებული ნიშნების აღრევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს ბათილად იქნას ცნობილი „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის

თქმის შესახებ” სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 სექტემბრის №2364/03 ბრძანება და საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „ICA GROUP“ (საიდ. N74428/03, IR 1131351) მიენიჭოს დაცვა განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი №198-03/14 უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული კომბინირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „ICA GROUP“ (საიდ. N74428/03, IR 1131351) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „ICI“, (რეგ. N13222) და კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „ICI“ (რეგ. N2812) არ არიან აღრევამდე მსგავსი. სასაქონლო ნიშნები განსხვავდება, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი, ისევე როგორც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები, შესრულებულია ლათინური ანბანით. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება ორი, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები - ერთი სიტყვისგან. განცხადებული სასაქონლო ნიშნის პირველი სიტყვიერი ელემენტი და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ჰგავს ერთმანეთს და მათ მხოლოდ ერთი ასო - „A“ და „I“ განასხვავებს, მაგრამ ამასთან სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებულ სასაქონლო ნიშანში დამატებითი სიტყვიერი

ელემენტის „GROUP“ არსებობა, ზრდის დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის ვიზუალურ განსხვავებას. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი ფერადია - პირველი სიტყვიერი ელემენტი წითელ, ხოლო მეორე სიტყვიერი ელემენტი და გრაფიკული სიმბოლო, ლურჯ ფერშია შესრულებული. რაც შეეხება დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს, ისინი შავთეთრია. განსხვავებულია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების გამოსახულებითი ელემენტები, კერძოდ განცხადებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს ერთ ტალღისებრ კლაკნილს, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „ICI“ (რეგ. N2812) შეიცავს ორი წრის, კონტურისა და მუქი ფერის წრის და ორი ტალღისებრი ხაზის გამოსახულებას. სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი ვიზუალური განსხვავების გათვალისწინებით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები, ქართველი მომხმარებლის მიერ განსხვავებულად გამოითქმის, კერძოდ განცხადებული სასაქონლო ნიშანი როგორც - „აი სი ეი გრუპ“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები, როგორც „აი სი აი“.

რაც შეეხება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სემანტიკურ განსხვავებას, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ფანტაზიურია და წარმოადგენენ, მათი მფლობელი კომპანიის შემოკლებულ სახელწოდებას - „Imperial Chemical Industries Limited“ („ICI“), რაც შეეხება განცხადებულ სასაქონლო ნიშანს, მისი პირველი სიტყვიერი ელემენტიც იმეორებს მფლობელი კომპანიის სახელწოდების პირველ ასოებს - „INDUSTRIA CHIMICA ADRIATICA S.P.A.“ („ICA“), ხოლო მეორე სიტყვიერ ელემენტს აქვს სემანტიკური მნიშვნელობა, კერძოდ ტერმინი „GROUP“, ქართულად ნიშნავს „ჯგუფს“, „გაერთიანებას“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით

გათვალისწინებულ შემთხვევას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „ICA GROUP“ (საიდ. N74428/03, IR 1131351) უნდა მიენიჭოს დაცვა პირველი და მე-2 კლასების საქონლის სრული განხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ინდუსტრია კიმიჩა ადრიატიკა ს.პ.ა.“ (INDUSTRIA CHIMICA ADRIATICA S.P.A.) (მის.: 52, ვისა სანდრო პერტინი, I-62012 ჩივიტანოვა-მარკე (MC) იტალია; 52, Via Sandro Pertini, I-62012 CIVITANOVA MARCHE (MC)) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №198-03/14) დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 სექტემბრის №2364/03 ბრძანება.

3. საერთაშორისო კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს „ICA GROUP“ (საიდ. N74428/03, IR 1131351) მიენიჭოს დაცვა პირველი და მე-2 კლასების საქონლის სრული განხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.

მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ნ. გოგილიძე

წევრები:

ს. ებრაელიძე

ქ. კილაძე